ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-188

" 7 " მაისი 2019 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პროგრამის - ,,თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში" - ფარგლებში ,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-11 საერთაშორისო ფორუმის" ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ" და „პ" ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს, ქალაქ თბილისში, 2019 წლის 31 მაისს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-11 საერთაშორისო ფორუმის მონაწილე სტუმრების ავია ბილეთის, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, დარბაზის იჯარის, სასტუმროში განთავსების, კვებითი გამასპინძლების, ტრანსპორტირების ხარჯისა და სასაჩუქრე ნაკრების ანაზღაურება 191400 (ას ოთხმოცდათერთმეტი ათას ოთხასი) ლარის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროგრამით „თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში" (კოდი: 04 04) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-11 საერთაშორისო ფორუმის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, განახორციელოს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად გათვალისწინებული საჭირო მომსახურების ანაზღაურება 2120 (ორი ათას ას ოცი) ლარის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროგრამით „მერიის ადმინისტრაცია" (კოდი:10 02) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, ამ ბრძანების პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებული ხარჯის ანაზღაურება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას მოთხოვნის საფუძველზე.

4. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოს საჭირო ღონისძიების გატარება.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პროგრამის - ,,თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში" - ფარგლებში ,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-11 საერთაშორისო ფორუმის" ორგანიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 22 აპრილის №1-161 ბრძანება.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

7. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ N6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

დანართი

,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-11 საერთაშორისო ფორუმის" გამართვისათვის საჭირო მომსახურებები:

1. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-11 საერთაშორისო ფორუმის პროგრამის დაბეჭდვა (1000 ერთეული, ქართულ და ინგლისურ ენებზე);
2. საჩუქრები განსაკუთრებული სტუმრებისთვის (20 ერთეული წიგნი ,,ეს თბილისია" და 20 ბოთლი ღვინო);
3. ფორუმის დარბაზში განსათავსებელი ბანერების ბეჭდვა, ტრანსპორტირება, მონტაჟი, დემონტაჟი (ორი დიდი ბანერი 2X3, სამი მცირე ზომის ბანერი 1.65X65);